

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

ქართველ მწერალთა შემოქმედებითი საქმიანობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ

საქართველოს პარლამენტი, აღასკურებს რა ქართული მწერლობის გასაკუთრებულ და გამორჩეულ მისიას ქართველი ერის წინაშე, აღასკურებს რა ერთეული და საკაცობრიო იდეალებისა და ფასეულობების დამკვიდრებაში ქართული მწერლობის შეუცვლელ როლს, ქართველ მწერალთა შემოქმედებითი საქმიანობისათვის პირობების გაუმჯობესების მიზნით ადგენს:

1. მწერალთა კავშირის ყოფილ სასახლეს (მანაბლის ქ. N13) ეწოდოს „მწერლის სახლი“ და სამუდამო მფლობელობაში გადაეცეს ქართველ მწერლებს, განურჩევლად მათი ორგანიზაციული კუთვნილებისა.
2. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ ამ დადგენილების ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში უზრუნველყოს „მწერლის სახლის“ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დაფუძნება, ლეზულების დამტკიცება და ხელმძღვანელი პირის დანიშვნა.
3. საქართველოს მთავრობამ ამ დადგენილების ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში უზრუნველყოს კონკრეტული პროგრამის შემუშავება ქართული მწერლობის მხარდაჭერის, მთარგმნელობითი საქმიანობის ხელშეწყობისა და მწერალთა მაგერიალური დახმარების მიზნით.
4. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ, შესაბამისი ქონების „მწერლის სახლისათვის“ გადაეცემისა და უმნიშვნელოვანესი კულტურული ფასეულობების დაცვის მიზნით, უზრუნველყოს ქ. თბილისში, მანაბლის ქ. N13-ში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლისა და მასში დაცული კულტურული ფასეულობების სრული ინვენტარიზაცია.

ნინო ბურჯანაძე

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე